ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

განკარგულება:**გ-93. 93233604**

თარიღი:**26/12/2023**

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის № 669 დადგენილების 21-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, „ბ“-ქვეპუნქტის, მე-4 და მე-5 პუნქტების შესაბამისად, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულებით:

მუხლი 1.

მიეცეს თანხმობა, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერს, გადასცეს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფელ საქობოს პირველ ქუჩა N10-ში მდებარე მიწის (ს/კ 54.07.56.245) 2412 კვ.მ. ფართობი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა N1 და N2 პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო სარგებლობის უფლებით, უზუფრუქტის ფორმით, ა(ა)იპ „ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანება-ს“ (ს/კ:233146798) არსებობის ვადით.

მუხლი 2 .

განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

მუხლი 3.

განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია კანონმდებლობით დადგენილი წესით, გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში, გურჯაანის რაიონულ სასამართლოში, შემდეგ მისამართზე: ქ.გურჯაანი, სანაპიროს ქ. №24.

კარლო ჯამბურია

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი